



### სამაისო

ცხრა მაისის ცხრაოვალა მზე  
 კვლავ ელავს და კვლავ გვაზარებს  
 და დიდების მუქით მოსავს  
 გამარჯვებულ მშობელ მხარეს.

სიამაყემ მალალ გრძნობით  
 გული კვლავაც აგვიძგერა,  
 მწვიდობიან მშენებლობის  
 კვლავ აინთო მძლავრი კერა.



დიდება მას, ვინც ჩვენ ეს დღე  
 საზეიმოდ გაგვიტენა,  
 ვისი ხმლითაც ხალხთა მტერი  
 სამუდამოდ ვადითელა!

# ნიანბი


№ 9-10 1946 წ.

ბათუმის წერილი XXIII.  
 ბათუმისა და „კომუნისტი“ თბილისი.  
 ფასი 4 მან.

ნახ. ღონისა



ბრიტანელი—როგორც ხედავთ, აქედან იქამდის, სადაც ჩვენი საოკუპაციო ზონა თავდება, მტკიცედ ვანხორციელებ ბრიტანეთის ჰეშმარიტ მისწრაფებას ჰიტლერული მილიტარიზმის აღმოფხვრის საქმეში.



კორეისკონდენტი—ღიას, მშვენივრად ვხედავ, თქვენ მართლაც ანხორციელებთ...

### ინტერვიუ

ბ-ნი პოლკოვნიკი ზაუ ხინდი ზედმიწევნით შეშფოთებულია. სამი დღის განმავლობაში რამოდენიმე საქმე მოახრჩო თავის პატარა საგამგებლო ზონაში. ერთი წუთითაც არა აქვს მოცლა. რანაირი ჯურის კაცი არ თხოულობს მასთან შეხვედრას! ყველაზე მეტად კი კორესპონდენტებთან შეხვედრა აშფოთებს: რას არ იკითხავენ ეს მამაცხონებულის შეილები. გუშინ „კორ ნიუსის“ წარმომადგენელი იქამდისაც კი გაკადნიერდა, რომ „დილას, რომელ საათზე იღვიძებთო“ ჰკითხა. კაცი მანქანა ხომ არ არის, როცა გაეღვიძება, მაშინ გაიღვიძებს!

დღევანდელი დღე ყველაზე უფრო არასასიამოვნოა ბ-ნ ხინდი-სათვის: საბჭოთა გაზეთის კორესპონდენტმა მეორედ დაურეკა, ინტერვიუს სთხოვეს.

— თქვენი ნახვა სურთ, ბატონო ხინდ.—შეაწყვეტინა ფიქრი მდივანმა.

- ვინ არის?
- კორესპონდენტს ჰგავს.
- სთხოვე. ვიცი ვინც არის.

ოთახში ხანშიშესული კაცი შემოვიდა და მისალმების შემდეგ სკამზე ჩამოჯდა.

— მე თქვენ პატივისცემით მოგელოთ, დიდად მაინტერესებდა თქვენთან შეხვედრა!—ევროპული თავაზიანობით სთქვა ხინდმა.

— გმადლობთ, ბატონო ხინდ, ბოდიშს ვიხდი, რომ დავიგვიანე. —დაამტვრია ინგლისური ახალმოსულმა.

— რა შეადგენდა თქვენი ინტერესის საგანს?—ლიმილით კითხულობს ხინდი.

— მე გვახელით ფირმა „მალულინდუსტრის“ საქმეების გარშემო.

— საინტერესოა...ფრიალ საინტერესო...მანარებს თქვენი ფხიზელი, საქმიანი დამოკიდებულება. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ჩვენი სიტყვის პატრონები ვართ და არც ერთ წუთს არ ვივიწყებთ ჩვენს პირობას.

— გმადლობთ ყურადღებისთვის, ბატონო ხინდ!  
— პატივსაცემით რა ჩვენს მოვალეობას, გადაწყვეტილების თანახმად, განვიზრახეთ მოკლე ხანში სრულიად გავაუქმეთ ეგ ფირმა.

— ბატონო ხინდ, კი მაგრამ, ფირმამ რომ სულ სხვა დაპირება მიიღო ამ რამოდენიმე დღის წინათ?

ხინდი ღრმად ილიმება:  
— ეს უბრალო დიპლომატიაა, ჩემო კარგო, სრულიადც ნუ აგაღელვებთ. ჩვენ ვფრთხილობთ, არ გამოვიწვიოთ წინააღმდეგობა. ხომ შეიძლება რომ უცბად აკრძალვის გამო, არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდეს ეგ ფირმა.

— როგორ ვეკადრებათ, ბატონო პოლკოვნიკო. ფირმა ხომ კაცი არ არის!..

— ყველაფერი ხდება, ჩემო კარგო, სიფრთხილეს თავი არ ას-ტკივა.

— მაშ რა მოგახსენო ფირმის დირექტორს?

— თქვენ მას სრულიადც ნურაფერს ეტყვი. იქონიეთ დიპლომატიური სიფრთხილე.

— კი, მაგრამ მე ხომ მისი მოადგილე ვარ, პასუხს ხომ მკითხავს?!  
ხინდი ორმაგად აღრმავებს ღიმილს:

— თქვე კაცი კაცო, ასე ვერ თქვით თავიდან? მე შეცდომით საბჭოთა კორესპონდენტი მეგონეთ,—ამბობს ხინდი და უფრო ახლო მდებარე სკამზე უთითებს,—თქვენ ალბად იმ დაპირებული თანხის შესახებ მობრძანდით, გუშინწინ რომ გვქონდა მოლაპარაკება.

— სწორედ ასეა, ბატონო.

ხინდი მოსულს ხელს უწერს გადაბეჭდილ პატარა ქალაღზე და ამბობს:

— უნდა გააფრთხილოთ ხოლმე მდივანი. ხომ იცით როგორ მაქვს საქმე გაჭირვებული ამ კორესპონდენტებისაგან...



შობობენ ყოველ დიდ აღმოჩენას წინ პატარა შემ-  
ხვევა უძღვისო.

არ ვიცით რამდენად პატარა იყო ის შემთხვევა,  
რომელმაც ნიუტონს მიზიდველობის კანონი აღმოაჩე-  
ნა, ან გალილეი დედამიწის ბრუნვაში დაარწმუნა,  
საგრამ მაინც არა გვგონია რომელიმე მნიშვნელოვან  
აღმოჩენის საქმეში აქამდე რაიმე როლი ეთამაშოს  
პატარა გოჭს.

ჩვენ კი სწორედ ასეთი აღმოჩენის მოწმე გახლა-  
ვართ.

წინასწარ ვაფრთხილებთ მკითხველს, რომ სრუ-  
ლებითაც არ ვხუმრობთ და არც რაიმე სენსაციით  
გვინდა განვახილოთ. პირიქით, მოკრძალებით გვინ-  
და აღვნიშნოთ ერთი გორელი მოკრძალებული მოქა-  
ლაქის კობინოვის დამსახურება, რომელმაც აღმოაჩინა,  
რომ დაკლული ღორი იზრდება არაჩვეულებრივი სის-  
წრაფით. მაგალითად, სულ რაღაც ერთი კვირის გან-

მავლობაში ბურვაკი, რომელიც დაკვლის მომენტში  
19 კილოგრამს იწონის, დაკვლის შემდეგ იზრდება 72  
კილოგრამამდე.

— როგორ და რანაირად? — იკითხავს ზოგიერთი,  
— ჩვენი ფიზიოლოგები საოცარ ცდებს აწარმოებენ  
და განსაცვიფრებელ წარმატებებსაც აღწევენ, მაგრამ  
მსგავსი რამ ჯერაც არ გავგვიგონია და უბრალო მოქა-  
ლაქე კობინოვს როგორ შეეძლო დაკლული ბურვაკის  
წონა გაეზარდა?

კაცმა რომ თქვას, ერთგვარად მართალიც იქნება  
კობინოვის სასწაულომოქმედებისადმი ასეთი დაეჭვ-  
ება, რადგან დაკლული ბურვაკის გაზრდაში მას დეაწ-  
ლი დასდო ქ. გორის პირველი უბნის სახ. მოსამართ-  
ლემაც. მაგრამ ჩვენ ხომ ფაქტი გვანტერესებს და არა  
პროცესი.

ფაქტი კი მოხდა ასე:  
ზაქარია კობინოვი რაღაც „საპატიო“ მიზეზის  
გამო, მიცემული იყო სამართალში. გორის რაიონის

პროკურატურის სახალხო გამომძიებელმა ელიზბარა-  
შვილმა აღწერა კობინოვის ქონება და ის შესაბამად  
ჩააბარა საქვაპრობის გორის განყოფილების № 14  
მაღაზიის სექციონერ ბირთველაძეს. ჩამორთმეულ ქო-  
ნებაში ერთი ერთი პატარა ბურვაკიც, რომელიც 19  
კილოგრამს იწონიდა და რომელიც შემდგომ „სას-  
წაულომოქმედი“ აღმოჩნდა.

როგორ მოხდა, რატომ მოხდა არ ვიცით, მაგრამ  
მოხდა ისე, რომ აღნიშნული ღორი დაკვლეს და საქ-  
ვაპრობის გორის სახკვების ქსელს ჩააბარეს, ჩააბარეს,  
რა თქმა უნდა, იმავე 19 კილოგრამის წონისა. სახკვ-  
ებამ ხორცი სახელმწიფო ფასებში გაასალა.

მაგრამ ბედმა გაუღიმა არა მარტო კობინოვს, არა-  
მედ მის დაკლულ ღორსაც. სასამართლომ კობინოვს  
აღწერილი ქონება უკან დაუბრუნა.

— სად არის ჩემი ტახი? — იკითხა მაშინვე კობი-  
ნოვმა.

— ესე იგი თქვენი გოჭი, არა? — შეეკითხნენ მას. —  
წარმოიდგინეთ, თქვენი გოჭის შენაზვა ჩვენთვის უაზ-  
რო იყო, ის დაკვალთ, 19 კილოგრამი წონისა აღ-  
მოჩნდა, ჩავაბარეთ სახკვებს, სახკვებამ...

— რაო, რაო, რაო? — დაუცაცხანა დოინჯუმოყ-  
რილმა კობინოვმა, — ცხრამეტი კილოგრამიო? რა ხუ-  
მარები ყოფილხართ! რის გოჭი, რის ცხრამეტი კილო-  
გრამიო? ჩემი ტახი იყო იორკშირ-ბერკშირ-ბეკონის  
ჯიშისა და იწონიდა დაახლოებით ბულა ხარისოდენას.  
ფიე, გოჭიო? მე თქვენ გიჩვენებ!

მართლაც მალე უჩვენა კობინოვმა საქვაპრობის  
გორის განყოფილებას, თუ სად იხამთრებენ კიბოები.  
მან გაატარა სარჩელი და შეიტანა გორის პირველი  
უბნის სახ. სასამართლოში. იმის „დასამტკიცებლად“,  
რომ მისი გოჭი ნამდვილად „იორკშირ-ბერკშირ-ბე-  
კონი იყო და იწონიდა ბულა ხარისოდენას“, კობინოვ-  
მა საჩივარს დაურთო ქონების აღწერის დროს შედგე-  
ნილი ნუსხის შეუმოწმებელი ასლი, რომელშიც ბურ-  
ვაკის ნამდვილი წონა გადაასწორა.

ჩვენ ასეთ საქმეში თითქმის სულ არ გავგანჩია  
პრაქტიკა, მაგრამ ვიცით, რომ სასამართლომ არ  
უნდა მიიღოს აღწერის შეუმოწმებელი ასლი. მაგრამ  
აღნიშნული უბნის მოსამართლემ ასეთი ასლი მიიღო,  
როგორც საბუთი. ისიც ვიცით, რომ თუ ღორი დაკვ-  
ლის მომენტში 19 კილოგრამს იწონის, დაკლული უკვე წონა-  
ში აღარ უნდა მატულობდეს, მაგრამ მოხდა „სასწაუ-  
ლი“: კობინოვის გოჭი საქმის განხილვისას 72 კილო-  
გრამიან ტახად გადაიქცა და სასამართლომ საქვაპრო-  
ბას კობინოვის სასარგებლოდ კერძო ბაზრის ფასების  
კვლობაზე გადაახდევინა 15,280 მანეთი.

რას იტყვით, ხომ მთვრიდოდა ამ ფასად ორი კაი  
თხზარკი ცხენი?

— რატომ 72 კილოგრამი? რატომ კერძო ბაზ-  
რის კვლობაზე, როცა სახკვებამ კობინოვის გოჭი  
სახელმწიფო ფასებში გაასალა? კიდევ ერთი დამატე-  
ბითი კითხვაც მისცეს: რატომ ასე სწრაფად ააშენეს  
კერძო პირი, როცა იმავე სამოსამართლო ორგანოებში  
სთვლემენ თვით საქვაპრობის მიერ შეტანილი ასეუ-  
ლი ათასი მანეთების ძიებანი კერძო პირთა მიმართ?

მაგრამ ვერ გასჭრა ვერც ამ ლაღდისმა, ვერც  
შემდეგ შეტანილმა ოფიციალურმა საბუთებმა, რომ  
კობინოვის გოჭი იწონიდა მხოლოდ 19 კილოგრამს  
და ვერც საქვაპრობის მიერ ამ საქმის გამო სარჩელის  
აღძვრამ. მალე სამი წელი შესრულდება, რაც საქვაპ-  
რობის გორის განყოფილება ამ ქალღმერთის კვანძში  
ფართოალობს, ხოლო გულში გაცივებული ზაქარია  
კობინოვი არჩენილ გაიძახის:

— ჰა, ჰა!.. „ბილიბის“ მოუკელით, თორემ ჩემი  
დაკლული გოჭი სპილოდ იქცევა.

მოღით და ნუ იტყვით, რომ პატარა გოჭი წინ  
უძღვის დიდ აღმოჩენას.

## ორგვარი დასუფთავება

ნან. ა. კანდელაკისა



— ლამე რომ ეწვალეები, დღისით ვერ დაასუფთავე?  
— დღისით? დღისით ჩვენ ვინ გავგვშვებს, დღისით ბაზარს  
ღირექტორი ასუფთავებს.



კარი-მოუბიარი

ნ.ბ. ლონისა

კარი



— პეტეკო, გაჩუმდი, თორემ ახლა საბავ-  
შვო გადაცემა იწყება რადიოში და იცოდეთ  
შეკრები!

მსურს კარგი მუშაობისთვის  
შევაქო ჩვენი რადიო,  
მინდა ყოველთვის ვუსმენდე,  
ლამეც უძილოდ ვათიო.  
მიყვარს იმისი ბგერები  
ჰაერში გადმოფანტული,  
დილა-საღამოს სიმღერა,  
ხმა საამური ფანდურის.  
ალბათ სუყველას სმენია  
სიტყვები გულის ამბუნები,  
ქართულ სიმღერებს ვიწყებთო,  
გუნდს ხელმძღვანელობს აქსენტი.  
თავი იმათთან გჯონათ,  
უსმენთ მომღერალ ქალწულებს,  
ნუ იტყვი, თურმე გუნდის როლს  
ისევ ფირფიტა ასრულებს.  
გესმით ფირფიტის ხრიალი:  
ოდელა დელა, დელაო.  
რაც ქალის სიმღერა ისმის,  
იზნელებია ყველაო.  
ერთს გთხოვთ რადიოს მესვეურთ,  
რომ დაგიცვდებთ ნემსები,  
გუნდს დაუძახეთ, ნემსისთვის  
სხვებს კი ნუ დაესხვებით.

ზსოველი



— რალა აქ მოგინდება შე ოხერო, ღრია-  
ლი, არა კმარა, რასაც უნ რადიო ღრიალებს?

კარი-მოყვარულის  
სიყვარული

ყოველთვის, როცა ეთერი  
რადიო-ტალღით ერთობა,  
რადიოც მიყვარს, ეთერიც  
და მათი ურთიერთობაც.  
მაგრამ ეს კია—ცხოვრებას  
თუ ჩავუფიქრდი გულითა,  
გონს სწორედ მაშინ წამართმევს  
გურული კრიმინულითა.  
ხოლო თუ გული მიმღერის  
ნაფარეულის სითეთრით,—  
ფილოსოფიურ ლექციებს  
მიკითხავს როგორც სიღვდარი...

— ; —

ერთ ჩემს მეგობარს შევჩივლე  
ერთხელ ეს ჩემი ამბავი,  
პირი ღიმილით გაერღვა,  
ჰქონია დაულამბავი.  
მითხრა: ეგ შენი გუნება  
შეუწყვე ესაკიასო,  
როცა ხურს, მღერის ეთერი,  
როცა ხურს, მღერის კიაზო.  
როცა ხურს,—თესე, კაფეო,—  
დაგვძახის როგორც გუგული...  
მიდი, მას გააგებინე  
მაგ შენი გულის გუგული.

— ; —

მიველ იქ, სადაც ორკესტრის  
მუღმივი ბაქი-ბუქია,  
ყბახვეული შემომხვდა  
კომპოზიტორი ბუკია.  
თვითონ ქერაა, გარშემო  
სურათი უფრო მუქია,  
არც მომღერალი ვინმე სჩანს,  
არც ნადარა და ბუკია...  
ხელში უჭირავს ფირფიტა,  
ფირფიტას როგორ ვედაო...  
ვიცი, შეასეღ მიმღერებს  
„რე და ჩემო დედაო...“

— ; —

ავდექ, დიქტორებს მივმართე,  
ავმალდი ერთი სართულით,  
მსურს ამოცანა ამისხან  
ძნელი, რადიო-ქართულით.  
აგერ ძიგუა და აგერ  
თვით მანჯგალაძე ეროსი,  
რადიო-მანარობლები  
სრულიად საქართველოსი.  
აგერ სპირანდი და აგერ  
ხმატკბილი ქეთო ლანდიო,  
აქვე ლია და ელენეც  
ცის ორ ვარსკვლავად ანთია...  
აღარ მოგმართავთ კარგებო,  
აწ ჩემი სამღერავითა,  
შუა ქუჩაშიც დამძახეთ  
შენობის სახურავიდან.  
რკინა-ბეტონსაც არგუნეთ  
წამით ეგ მუსიკალობა,  
დე, ტელეფონშიც მესმოდეს  
თქვენი რადიო-გალობა...

კუჩხან ბედნიანი

ამაო გარჯა

ანუ



„როლში შესული“ მსახიობი მიკროფონთან.



აღიშნული მინიატურები

მწერალთა სახლის (და საერთოდ ყველა სახლის) კომენდანტს

მტერი განსწავლით საშიშია, არა მუქარით, ცეცხლი ჩიბუსის საშიშია, არა ბუსარის.

ვ. კაკაბაძე

ჩემში „მე“ ჩადგა, ვით ბაუთარი, მებრძვის, მედობა ცეცხლის გენია, ისე გავიდა კიდევ სამთარი, „უვარუვარეც“ ვერსად აღმიდგენია.

ს. ეული

ვწუსვარ და ვჯავრობ, როდესაც, ლიტონდი მოძვის, მოთესავს.

ამაო კივაა

გზა მნელი, გზა ეჭვიანი, კაცს საძიებლად ჰქონია, რასაც დაეძებს ჰქვიანი სუფელს ნაწილნი ჰგონია.



მინიატურებიდან ზოგი იბეჭდება ჩვენი რედაქციით, ზოგი უცვლელად. რედაქცია.

აღიშნული საიუბილეო საღამოს ანგარიში

ახე იყო თუ ისე, მოსახლენი მაინც მოხდა: დანიშნულ დღეს ჯერ რადიო და გაზეთებში, შემდეგ აფიშებში გვამცნეს აღიშნული საღამოს 25 წლის საიუბილეო მოღვაწეობის შესახებ. თვითონ ობერის თეატრიდანაც სწორედ იქ, სადაც დიდი შავი ასლებით „აბესალომ და ეთერის“ ან „კარმენის“ შესახებ განცხადება ხოლმე, იმ დღეს იუბილეს მომლოდინე სხვა პოეტების გულის გასახეთქად ასეთი წარწერა გამოიყურებოდა:

აღიშნული საიუბილეო საღამოს

ნიანგმა თავის მოვალეობად ჩასთვალა საღამოს დასწრებოდა და პატივი ეცა პოეტისათვის. ყველა სხვა დამსახურების გარდა ამას ის გარემოებაც გვაფიქრებდა, რომ პოეტს აღიშნული საღამოს რამდენიმეჯერ წაუცდა ხელი ნიანგის ფურცლებზე თანამშრომლობისაკენ.

ერთმა მისმა ნაწარმოებმა ზოგიერთი ამხანაგის გულისწერომაც კი დაიმსახურა, მაგრამ მაშაშვილის ამით არაფერი დაკლებია.

რაც იყო იყო, ბილეთი ძალიან გვეძვირა, მაგრამ საღამოზე მაინც წავიდით. ფაიქში მწერლები ენამწარობდნენ: რა ეჩქარებოდა, ჯერ ახალგაზრდაა, იუბილე ჩვენთვის ეცლია, როცა ხალხს ჩვენსავით დაავიწყდებოდა, მერე გადაეხადო. უფრო პრაქტიკული გკუის პოეტები ცალკე იდგნენ და იუბილარის მოქმედებას იწინებდნენ: სწორად მოიქცა, რომ 25 წელი აღანიშვნინა. 30, 40, 50, 60 და 70 წლების იუბილეები წინ აქვს და კიდევ მოეწერება, 25 კი აღარ გამოერდება და რად უნდა დაეკარგა მით უფრო, რომ 30 წლის იუბილეზე „სახლაფორთოდ“ აღარ ექნება საქმე, რაკი ახლავ მტკიცე ტრადიციას დაუღლო ხათავო.

დადგა ნანატრი წუთი. ფარდა აიხადა. იუბილარს გვერდს უმშვენებდნენ, როგორც აღრინდელი, ისე შარშანდელი ნაიუბილარები.

მწერლების ერთი ჯგუფი არც პრეზიდიუმში იყო, არც დარბაზში. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის სახელზე შემოსული განცხადებით კულისებში გამოიკვია, რომ მწერლების ეს ნაწილი ფელოციის სამშობლო სოფელში იყო წასული მისი გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით.

დრამატურგ გრ. ბერძენიშვილის კომენტარით, ამ პოეტებს აღიშნული ბანკეტის იმედი არ ჰქონიათ და კახეთის მამაპაპურ ბურმარისთვის მიუშურებიათ.

ოფიციალური ნაწილი. მრავალ იუბილემობდლმა ჩვენმა მსტოვანმა მწერალმა შედგა დადიანმა თავისი საინტერესო მოხსენება ასე დაამთავრა (გუნებაში მაინც):

„ალიართალი, ბალიართალი, ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი!“

შემდეგ დაიწყო მილოცვები.

ულოცეს და ულოცეს. ყველა მილოცველს პირიდან შაქარი გადმოსდებოდა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, რომელთაც მაინც სცადეს იმის დასაბუთება, რომ ამ საღამოს მართალია იუბილეს არ დავარქმევთ, მაინც იუბილეაო.

მილოცვების შემდეგ ადგილი ჰქონდა ზოგჯერ უგულო სიყვარულის გამოხატვას—ხვეწა-კოცნას.

მილოცვების შედეგების შეჯამებამ ასეთი სურათი მოგვცა:

- 1) იუბილარს აკოცა—5-მა კაცმა.
- 2) არ აკოცა—2-მა (მათ შორის პიონერმა).
- 3) თავი შეიკავა—1-მა (ე. აბაშიძემ).

დასასრულ გამართა კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობა არ მიიღო აფიშაში წინასწარ გამცხადებულმა ბერძენმა მხანობმა, რამაც პოეტის ახლა მეგობრების უკმაყოფილება გამოიწვია.

# თბილისელები ფეხბურთის ტრანსლაციის მომენტში

ნახ. ღონისა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



გსმენელთა აღტაცების მუხაბი შემცირებულია 1:1000

(სცენა დინამოს სტადიონზე)

...ვლადიმერ მაყურებლები, მაგრამ ყველაზე უფრო ღელავს აი ის, ნაცრისფერპიჯაკიანი მამაკაცი აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე რომ ზის.

—ტა, ტა, ტა!.. მიდი, მიდი ჰო! ეგრე, ეგრე... რას შვრები, თფუი რა ბურთი გაუშვა, ეგ პატეფონს უნდა უკრავდეს და არა ფენბურთს თამაშობდეს... არა, ერთი შეხედით რას სჩადიან, ასე ხომ მატჩსაც წავაგებთ, თფუი!.. ე, ბიჭო, ე, ბიჭო, შენ გენაცვალე, კიდევ ერთი გოლი, კიდევ ერთი და მეტი არ გვინდა!.. რას შვრები! კიდევ ბურთი გაუშვა, თფუი!—ხტუნავს, ცქმუტავს, ყვირის ნაცრისფერპიჯაკიანი, ხან ფეხზე დგება, ხან თავისი იარუსიდან გადმოხტომას ლამობს, ყველას ხელს უშლის.

—ეი, დაჯექი, თავი იქით გასწიე! რას ჩაწომეფარე, გამჭვირვალე ხომ არა ხარ...—უსაყვედურებენ მოქალაქენი. ზოგი მუჯლუგუნსაც კი წასთავაზებს, მაგრამ ნაცრისფერპიჯაკიანი ვერაფერს გრძნობს, მისი ნერვები ისეა დაჭიმული, თითქო ამით ხელს უწყობდეს ჩვენების გამარჯვებას.

—უკაცრავად, რომელია ჩვენები?—ეკითხება ნაცრისფერპიჯაკიანს დურბინით შეიარაღებული მანდილოსანი.

—აქ ყველა ჩვენებია!—უპასუხებს პიჯაკიანი ისე რომ არც უყურებს მანდილოსანს.

—არა, მე გეკითხებით რომელია მოსკოვისა და რომელი თბილისის!—ამბობს მანდილოსანი.


—მომწყვდით თავიდან, ხელს ნუ მიშლით! ამ დროს მთელმა სტადიონმა ერთხმად წამოიყვირა— „სუღია აკუშერკა, სუღია მეჩქემე!“

—რატომ მაინც და მაინც მეჩქემე?—უკვირს მანდილოსანს. პიჯაკიანი ცქმუტავს, ბუქნას უვლის.

—ამიხსენით რად უწოდებენ მსაჯს „აკუშერკას“?—კვლავ დაინტერესდა მანდილოსანი.

—ქალბატონო, თუ არაფერი იცოდით, აქ რად მოდიოდით!.. გარდა ამისა, თქვენ ვის მხარეზე დგებართ—ჩვენებისა თუ მოსკოვისა?

—აკი ბრძანეთ აქ ყველა ჩვენებიაო!—ამ დროს თბილისელებმა გაიტანეს კიდევ ერთი და უკანასკნელი ბურთი მოწინააღმდეგის კარებში. 45.000 ხმა ერთად მოსწყდა სტადიონს. პიჯაკიანს სიხარულისაგან თვალები აენთო:—ვაშა, ვაშა!—და ფეხი მაგრად დაჭკრა რაღაც რბილ საგანს, ეს იყო ცნობისმოყვარე მანდილოსნის ფეხი.



ბიოლოგიის გაკვეთილი

— რაში ვიყენებთ ან რა დანიშნულება აქვს მტრედს?  
— მტრედს, მასწავლებლო, ის დანიშნულება აქვს, რომ სტადიონიდან შინ დარჩენილთ სწრაფად აცნობოს ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვება.


—ოი!—იკივლა ქალმა.  
პიჯაკიანმა ახლა უკვე მოიხედა მანდილოსნისკენ და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა,  
—ოჰ, ქალბატონო! ეს თქვენა ხართ?  
—აა, ეს თქვენ ბრძანდებით ბატონო ალექსანდრე! ჩვენ ერთმანეთს ალარ ვიცნობთ!—სთქვა ქალმა ამაყად და კოჭლობით წავიდა გასასვლელისაკენ. მას შორი-ახლო უკან მიჰყვებოდა თავჩალული ნაცრისფერპიჯაკიანი.  
—ომერთო, შენ ვადამარჩინე ხიფათს.—ფიქრობდა პიჯაკიანი, —ეს მანდილოსანი ხომ ჩვენი დირექტორის ცოლია.

ი. ნოლია

აქტივმაქოკული აჯაუსანდარი

თბილისში ბევრი ახალი შენობა არქიტექტურულად დამახინჯებულია და დანიშნულებისათვის შეუსაბამო.

ნახ. მ. ოთაროვისა



ქიქა წყლის გახაყიდად ციხე-კოშკი ააშენეს, კარი დაშვს, სასარკმელე სათოფურით დაამშვენეს, შეგლისეს და შეაჭრელეს, საქმე ამით გააძნელეს, ერთი სიტყვით, როგორც წესი—ფართობი მთლად დააბნელეს.

უხსოვთის იუმორი

პრაქტიკული მწერალი

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ინგლისელი მწერალი ჯონ ბ. პრისტლი თავის ნაცნობ ლიტერატორებთან სადილობდა.  
— რა წიგნს ინატრებდით უკაცურ კუნძულზე რომ მოხვედრილიყავით?—ჰკითხა პრისტლის ერთმა თანამეინახემ.  
— შექსპირის თხზულებათა სრულ კრებულს,—უპასუხა ერთმა მწერალმა.  
— მე ბიბლიას ვირჩევდი.—სთქვა მეორემ.  
— თქვენ, ბატონო პრისტლი?  
— მე ყველაფერს გემთმშენებლობის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ვამჯობინებდიო.—მიუგო პრისტლიმ.

უბრადო საქმე

საცირკო ნომრის დამთავრების შემდეგ მაყურებლები ჯამბაზს შემოეხვივნენ და თავიანთ ალტაცებას გამოსთქვამდნენ.  
— ეს ხომ სულ უბრადო საქმეა,—განუმარტა ჯამბაზმა,—ყოველ ხუთი წლის ბავშვს შეუძლია იგივე გააკეთოს, ოც წელიწადს თუ ივარჯიშებს.

სიმპატიის შესახებ

ქალი: მე არ შემიძლია სიმპატია მქონდეს იმ კაცისადმი, რომელიც ყოველდღე სვამს.  
კაცი: ყოველდღე მსმელ კაცს თქვენი სიმპატია სრულიადაც არ აღარდებს.

მუსიკის მოყვარულები

— რა მოისმინეთ გუშინ ოპერაში?  
— უამრავი ამბები! სმიტი გაკოტრებულა, მისს ბრაუნს თმები შეუღებია, ხოლო უაიტი ქმარს გაჰყრია.

# რობორ მიეფება ზობიერთი გამოცდების ჩასაბარებლად

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მეოთხელანობ  
შეწაფე



სტუდენტი ქალი



სტუდენტიცაყავი



სამოფერო ჯურსტი,  
მოსწავლე




მოლოარეთა  
ჯურსების მსმენელი

## და რობორ „ჩააბარა“



გიოთხე პლასის  
გოწაფე



სტუდენტმა ქალმა



სტუდენტმა ვაჟმა



სამოფერო კურსების  
მოსწავლემ



მოლოარეთა  
კურსების მსმენელმა

1  
გაზაფხულდა... ბურჭის ძირას განია ია ჰეფვის ნაზი? ეს იმისი გული გახლავთ ახლად ენით მოინახაზო.

კარგული გაინახა, თან ბოტებიც მილაყულა, და მზარდივე გადვიკადა ვერცხლისბეწუვა შავი მელა.

ექვსთიანი კულულები რახანია გაიკეთა. ცირკშიც იყო და თეატრის ბილეთებიც დაიკეთა.

ამასწინად, ერთ კონცერტზე ბათუს ტანში უშლენა წველიად, შიტოს გაჰყვა პაემანზე, ტიტომ სახლში შოიცილა.

შემდეგ გრძელი მასლაით გაუმართა ბეჭედი და თვითონაც ხომ „ტეპოლქართულით“ ასე ნახადა პეკეკობადა:

— ას, რეზგარი ხომ აბრზე ხარ, რა პეკინა წუთებს ვკარგავთ— იმ მახალი კონსერტებში უდაშოშოთ თავს რომ ჩავრგავთ!

გაზაფხულის იშტას გვარგავ და მიმატებს გული ძეგრას,

## საგამოცდელ ფურცლები

სიგამოცდელ ფურცლს ჩაიღოს რომ გუდაე როგორც ბედისწერას!

— რას ფრთხილზე სხვა შიშაქებს უნდა მეტი მანსი ჰქონდეს? პროტექტორი მინახე, რომ სიამიანი ვაღმობოგოდეს.

თან თანამობის ნიშნად ხელი შეუღოს მიღო ნახულებებს და „სილო“-ო ნახად მოსწყდა კრემით ნაღვლს იმის ტუტებს.

2  
მან ჩარლსტონის შარლის ტოტემს ერთბელ კიდევ გაჭრა უთო,

მიღვა, სარკმელს გახედა და ლეღა იტრინა უსახეთო,

„გაზაფხული, გაზაფხული!“ — შრილებდა სიო სახლიან და მას თითქოს გულში უცებ ცხრა ბუღბუღელი ჩაუსახლიდა.

ჩუსახლდა, დაუსტეინა და გრზობებში აფსუსუნდენ, — სწოილდ ისე „ჭუსაიოლუმი“ კაცს რომ ცოტა ჭკრიც უსტეინს.

— „ლექცია თუ სტალიონი?“ — გაუეღვა თავში უცხი,

და მისი გული უფობანოდ მან დაუთმო გოლს და ბუტებს, ის დღე ფეხბურთის ანაცვალა, შიორი დღე—ძილს და პროსპექტს, ლექციებზე „დრო არ ჰქონდა“, დაიბრუნდა ბოკლე კონსერტს, სხვა დღეებშიც „მოუცელმა“ წიგნებს ზურგი შეჭკეო, ბოლოს ხედავს...ბიგუს, თორემ გამოცდის დღემ მოაღწია.


პროფესორთან ფახი-ფუხით ნულა იწყო ბორილი, „აბდას“—უბდა დააფოლდა, და იშვლეჭა ირინი!

3  
ქალსი, აფიდტორია, გინაღდა და აზრიალდა, და ფურცლები საგამოცდელ ყველგან მწეობრად აზრიალდა, აზრიალდა, გადაჭრულდა, ხუთაინებს გუდაფო მწკრივში, დე იხაროს, სიზარაცეს ვინც იწვევდა ზუღან კრიფში,


დე იხაროს, გაზაფხულმა ელვარებად მითვისი იწუის, ვინც დრო სწავლას მოინდობა, ვინც არა და...გაბრიცობს!

გაზაფხული





1. თანაშემწემ დირექტორის ბინაზე შეშა მიიტანა.




2. — ყოჩაღ ბიჭო, თანაშემწეც ასეთი უნდა!



3. თანაშემწემ დირექტორის მაგიერ ხელი მოაწერა საპასუხისმგებლო ქაღალდს.




4. — აფერუმ ბიჭო, თანაშემწეც ასეთი უნდა!




5. თანაშემწემ დირექტორის ცოლს გაუგზავნა მოპარული მატერიები და პარფიუმერია




6. — მალაღეც ბიჭო, თანაშემწეც ასეთი უნდა!



7. ვინაიდან დირექტორს „არ ეცალა“, გადასწვვითა მისი ცოლის ვართობაც.



8. . . . .



ჩემს მეზობელს ბავშვი შეეძინა. ოჯახში სიხარული ჩამოვარდა. თავს ევლებიან პატარა გოგონას.

ბებიამ შენახული აკვანი გამოიტანა და სათანადოთ მორთო.

ბავშვის დედა აკვნის სასტიკი წინააღმდეგი იყო... და რძალ-დედამთილს შორის ცხარე ლაპარაკი გაიმართა.

— ჩემს ციცუნიას აკვანში არ ჩავაწვენ. არა, და არა. აკვნის რწვევა ტვინს გამოუღაყებს, არტახები გულმკერდს დაუპატარავებს, სულს შეუხუთავს. აკვანი ხელს შეუშლის ბავშვის ნორმალურ გაზრდას, კუნთების განვითარებას. გაიგე რომ არ მინდა ჩემი ციცუნია იდიოტი გამოვიდეს და დამიკლექდეს. ახლა აღარავინ აღარ აწვევს ბავშვებს აკვანში. აკვანი ჩამორჩენილობის მაჩვენებელია. — მტკიცედ ამბობდა ციცუნიას დედა ივლიტა.

— რვა შვილი გაგზარდე ამ აკვანში და არცერთს ტვინი არ გამოღაყებია, არცერთი არ დაკლექებულა, ყველანი კკვიანი, მხარბეჭიანი და ჯანმრთელია. — ეუბნება დედამთილი. — დამიჯერე შვილო, ჩააწვინე ბავშვი აკვანში, გაზრდა გაგვიადვილდება.

— არა, არ ჩავაწვენ. ვერ დავიჯერებ აკვნის უუნებლობას. შენი შვილები აკვანში რომ არ ჩავაწვინა, ვინ იცის იქნებ მეცნიერებიც კი გამოსულიყვნენ და ახლა ხომ იცი რა მაღალი განაკვეთები ექნებოდათ.

— აბა რას ამბობ? აკვანში რამდენი მეცნიერი, მხატვარი, მწერალი, პოეტი გაზრდილა.

— სხვა რომ არა იყოს რა, ჩემს ამხანა-

გებს რა ვუთხრა? უბრალო დედაკაცივით აკვანს მივუჯდე? არა, ჩამორჩენილობის გზას ვერ დავადგები.

მართლაც ივლიტა განვითარების თანამედროვე გზას დაადგა და ბევრი დავისა და შეხ-



ლა-შემოხლის მიუხედავად მაინც თავისი გაიტანა.

აკვანი ისევ სხვენზე აიტანეს.

ციცუნია ანხლი ბავშვი გამოდგა. მისი დაძინება მთელი ოჯახის პრობლემად გადაიქცა. ივლიტა კი თავს არ ზოგავს, შრომას არ იშურებს: დაიკვირს ბავშვს ხელში, ატარებს ოთახში, ცეკვავს, თავისებურ ნანინას უმღერის და დიდის ვაი-ვაგლახით აძინებს ბავშვს.

ციცუნიას დაძინების პროცესი უცნაურ კონცერტს წარმოადგენს. ისმის ივლიტას განუწყვეტელი სიარული და ყოველთვის ერთი და იგივე ახლებური ნანინა:

— დაიძინე ჩემო ფისო ციცუნია... ფისოსა, ფისოსა, ფისოსა; ციცოსა, ციცოსა, ციცოსა; ფისოსა და ციცოსა, ფისოსა და ციცოსა; ტაქ, ტაქ, ტაქ; ტიქ, ტიქ, ტიქ; ნა, ნა, ნა; ჰო, ჰო, ჰო; რრ, რრ, რრ, ტაქ, ტუქ, ტიქ; ნა, ნი, ნო; ჰა, ჰა, ჰა...

შემდეგ ისევ თავიდან დაიწყებს ამ „იავნანის“ ბგერების ხმამაღალ განმეორებას. ამავე დროს ცეკვავს ტანგოს, ფოქსტროტს, ვალსს... და ბოლოს, როგორც იქნება, ჩაეძინება ციცუნიას. ქანცმილეული ივლიტა კი ხშირად მიმართავს დედამთილს:

— აღარ შემიძლია მეტი. მიკვირს შენ როგორ გაზარდე რვა შვილი.

— აკვანი მშველოდა შვილო, აკვანი. ეს კულტურული გაზრდაა, ჩვენ კი ჩამორჩენილები ვიყავით და სასჯელიც ნაკლები გვქონდა. — უპასუხებს დედამთილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე ვარ აკვნის მომხრე, მაგრამ არც ამნაირი უაკვნოდ გაზრდა იწვევს ჩემს აღტაცებას.

მე ის მაწუხებს, რომ ჩემი მეზობლის ახლებური ნანინა მოსვენებას არ მაძლევს.

მეხი

3 ე რ მ ო ი თ მ ი ნ ა

ნახ. ა. კანდელაკისა



1. — არა გრცხვენია, შენზე პატარასა ხცემ?

2. — რა მოხდა, ერთი წლითა ვარ უფროსი, მეტით კი არა.

3. — მერე, ერთი წელიწადი არაფერია, შე ოხერო?!

(ქ. გალი)

გალი ერთი სასტუმროსა, უკეთესი ხად იქნება, თბილისამდე ისმის თურმე მისი ქება და დიდება. ყველა ოთახს მხოლოდ ერთი გააჩნია გასადგობი, მორიგე რომ კარს დაჰკეტავს ვიპყრობს სევდა და ნაღველი. იქნებ გავლა მოისურვე, იქნებ კიდევ... სულ სხვა რამე, ცხრაკლიტულში ჯდომით უნდა გაატარო მთელი ღამე.

სასტუმროში ვიქა წყალი უკვდავების წყარო არი, თუ გაზბედე, მოითხოვე, ვაი მაშინ შენი ბრალი! ზეწარს რაღაც შავი ადევს, ღამესავით მოქუფრული, რომ კაცს იმის შემხედვარეს გაუსკდება უმალ გული. ...გალი ერთი სასტუმროსა, და სტუმარი მე ვარ ხშირი, ეჰ, ნიანგო, თუ გვიშველის—ისევ შენი ჩანჯლის პირი. ხვითო.

საქმეს არგებს

ქ. ხაშურში ლ. პ. ბერიას ქუჩაზე ხაქ. ვაჭრობის ხაშურის განყოფილებაში გახსნა სასადილო. სასადილოში კლიენტებს უმასპინძლებიან ნორმის ნახევარი სადილებით.

მშობლა და აქ, ხაშურში მე მოვინახე სასადილო, გამეხარდა რომ შიგ შესვლა იყო ასე საადვილო. დაგვჯექი და მაგიდაზე თვალი ვკიდე პრეისკურანტს, ჩავიკითხე გრძელი სია, კუჭი მაღამ გამიხურა. როგორც იყო მელირსა და მომაქციეს ყურადღება, — „რას ინებებთ?—ხმა მომესმა,—თქვენ რისა გსურთ გასადგობა? — „ყაურმა მსურს!“... და მომტანი გატრიალდა ისე მარდად, რომ ხელიდან ვქვსი თეფში ძირს კინაღამ გადუვარდა. ყაურმა და დანა, კოვზი... გააჩინა მართლაც ჩქარა, და მომტანი ნაცნობივით, მიღიმოდა წარა-მარა. — „ამხანაგო, ეს ყაურმა, პრეისკურანტს თუ ჩავხედავთ, უნდა იყოს მგონი ცოტა, რატომ არის ასე ნეტავ!“ — „თუ არ გყოფნის, კიდევ მოვა, მიირთვი და გამი-სუქდი,

მკლავში ღონე მოგემატოს, მოგემატოს თვალში შუქი“. კვლავ მოვთხოვე... როგორც იქნა მე მოვუღე ბოლო შიმშილს, „მეჩქარება, აბა სწრაფად, თქვენც მიირთვით ანგა-რიში“. მივხვდი მეტი რომ მომთხოვა, ოფიციალს ვკითხე კიდევ: „პრეისკურანტს თუ ჩავხედავ, ასე უნდა გამოვიდეს?“ მიპასუხა: — „მე რომ მაგას გავუყვე და დავუჯგო, ვაი, ჩემო ცოლ-შვილო და ვაი, ჩემო სახლის ჭერო. თუმც ზედმეტი მანეთები მარტო ჩემთვის არა მრჩება, ზოგს მზარეულს მივაწოდებ, გამგესაც აქვს გამო-რჩენა“.

ჰე, ნიანგო, ყური მიგდე, ვიცი რომ გაქვს კარგი სმენა, აქ, ხაშურში, საქმეს არგებს ჩანჯლით შენი გამოჩენა.


3. ხითაური

კუთხეული მუდროება

„ს. ქვემო-მაჩხანს (სიღნაღის რაიონი) აქვს მშვენიერი თეატრის შენობა. წინათ აქ არსებობდა დრამატრული დასი და იმართებოდა წარმოდგენები, მაგრამ უკანასკნელ წლებში თეატრში მუშაობა ჩამკვდარია“.

(კორესპონდენტიიდან)

ნახ. დ. რიონელისა



— რა ატირებს იმ ღამურას? — თეატრის გამგეს ამას წინაღ შემთხვევით კარი გაუღია და ეგვიტ გარეთ გამოფრენილა, უფიქრია, ალბად კარებს ხშირად გაა-ღებენო და გარეთ კი დარჩენილა.

საკონსერვო ქარხნის სასადილოში შევი-არე. დიდათ მომეწონა ახალი სასადილო, მაგრამ შემეპართო პირველმა შთაბეჭდილებამ: საკმაოდ ბლომად დამხვდა ხალხი. სქარ-ბობდა ახალგაზრდობა, მხიარული და ხალი-სიანი ახალგაზრდობა ხმაურობდა, მაგიდები მიწეულ-მოწეული იყო და გაისმოდა შედა-ხილები:

— აუტია, აუტია! — არა, პენალტია, გოლი იქნება!.. — სადაური პენალტია, კორნერი უნდა დაგირტყათ, ჩვენი ჯერია! მხედველობაში მიიღეთ, რომ ამ წამო-ძახილების დროს წინ და უკან მიმოჰქროდა ბურთი,—ხან სკამებს ეხლებოდა, ხან მაყუ-რებლებს თავზე დაეხეთქებოდა, ხან ფან-ჯრებს აზრიალებდა.

— გოლი-ი, გოლია!—გაისმა სწორედ იმ დროს, როცა დაეხარე ერთ მოსადილესთან და მსურდა მეკითხა, თუ რას ნიშნავდა ეს სტა-დიონური განწყობილება სასადილოში. „გო-ლის“ წამოძახილთან ერთად, მშუილით ჩან-ტა ბურთი იმ მოსადილის მათლაფაში, რომე-ლიც სავსე იყო ვერმიშელიანი წვენით. წვე-ნი ამოშხაპუნდა და შეხვებმა მე და იმ მო-სადილეს პირი „დაგვბანა“ და თან ტანი-სამოსზედაც გვესხურა.

— არა უშავს, წვენი ცხიმი ბევრი არ ურევია, ტანისამოსს არ დაგილაქავთ, სახე კი ცხვირსახოცით შეიმშრალეთ!—ასე მანუ-გეშა იმ დაზარალებულმა მოსადილემ, რომე-ლიც ეტყობოდა შეჩვეული იყო ასეთ სანა-ხაობას ქარხნის სასადილოში.

— მაინც რა საქციელია, აქ რა უნდა ბურთის თამაშს?—მივმართე ნაწყენი კილოთი.

— ნუ გაჯავრდებით,—აქ შეთავსებით ერთგვარი სტადიონიც ვახლავთ და ახალ-გაზრდები თავს ირთობენ. აბა რა ქნან.

— როგორ თუ რა ქნან, განა არ იციან, რომ ბურთის თამაში სასპორტო მოედანზე უნდა?

— იციან, მაგრამ სადღაა ეგ მოედანი?

— აბა რა იქნა ფიზკულტურული ვარჯი-შობისათვის მოწყობილი მოედანი?

— რა იქნა და გააუქმეს.

— სავარჯიშო იარაღები?

— ზოგი დაიმტვრა, ზოგი დაიკარგა, ზოგი სადღაც საწყობშია.

— ნუ თუ ეს არ იცის ქარხნის პროფორ-განიზაციის თავმჯდომარემ ღვინიაშვილმა?

— როგორ არ იცის, განა მისი დასტურის გარეშე თამაშებდნენ ახალგაზრდები ბურთს სასადილოში?

კიდევ რაღაც მითხრა მოსაუბრემ, მაგრამ ყური აღარ მიგდია, რადგან სწორედ ამ დროს მეორე მათლაფაში მოადინა ბურთმა ტყაპანი და მეც ავჩქარდი, ახლა ცხელი ბულღამით არ დამბანონ პირი მეტქი!

მართლაც ხომ მოხერხებული შეთავსებაა — გოლი მათლაფაში!?

სახრე

ტატემ გატენილი ჩანთა შემოათრია ეზოში. თვალს ესიამოვნებდა, როცა მორგვის მსგავსი კაცი, მზრუნველი მეოჯახე თავგამოდებით მოათრევს შენამატს და ქანცილეული შუბლზე ოფელს იწმენდს ცალი ხელით!

სახლში შესვლა არც კი აცალეს საცოდავ ტატეს—მეზობლები დაეჯახნენ:

— ბატონო, გადავსახლდებით და ის არის!..

— რა მოხდა?—კითხვისთანავე აღელდა ტატე და ცოლს ანიშნა: „ჩანთა სახლში შეიტანე“.

— მოგვსპო, გაგვაჩანავა. ამ ეზოში აღარ გვედგომება!—აქაქანდა ოჯახის მომიჯნავე.

— აღარ იტყვიტ რა ქნა?

— კაცო, მოსვლა და დამწიფება მაინც აცალოს. ჩითილსაც აღარ აყენებს. დედუ! დაგვაქცია მაგ სამიწემ, საკუთარი ხელით გადარგული პამიდორი დაგვივლიჯა.

ტატემ ხმაამოუღებლივ მოიხსნა ქამარი და ცოლს ჰკითხა:

— სად არის ის ოხერი?

— აქა ვარ, მამა.—ამოიწრიბინა კარებს უკან დამალულმა შვიდი წლის ტიტემ და ტირილი მორთო,—ჩემი ბრალი არ არის, ბიჭებმა შემაცდინეს, ბოსტნობია ვითამაშოთო.

მშობელს კინაღამ გული მოუღება. ქამარი კიბესთან მიავლო და მეზობლისათვის პასუხის გაცემას აპირებდა, რომ მეორე მეზობელი ახმაურდა:

— კაცო, სიროფი რაღა სათამაშო იყო. ერთი ბოთლი შეინდის სიროფი ამოცალა მაგ საძაგელმა.

— ახლა რაღას იტყვი!—კვლავ აბაყბაყდა ტატე ტიტეს მისამართით და ქამარს დასწვდა.

— მე რა ვქნა,—აზლუქუნდა ტიტე.—ბიჭებმა მითხრეს ხალტურობია ვითამაშოთო. სიროფში წყალს ვასხამდით და ისე ვყიდდით...

ძნელი წარმოსადგენია როგორ ცეცხლივით იფეთქა სიტყვა „ხალტურობიამ“ ტატეს ძარღვებში; დაქრილი დათვივით დაეტაკა შვილს და ლაზათიანად გაასილაქა. ბავშვის დედა შედეგის პირველ წუთებში ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ შემდეგ ველარ მოითმინა და უმწურო მსხვერპლი ძალით გააგდებინა აგრესორს ხელიდან.

ამის გამო პატარა დედაც კი ატყდა:

— ბოშო, ეს ერთი ძლინკალი ძლივს გამოვზარდეთ და გინდა ხელში შეიკლა? ჯერ იყო შენი ბაყბაყა ხმის ეშინოდა და სანამ ხუთი წლის არ გახდა, ახლო ვერ მოგეკარა, ახლაა და ა, მოკალი ბარემ და ის არის.—პროტესტი განაცხადა ცოლმა.

— დამაცა, დედაკაცო, ჩემი საქმისა მე ვიცი!—პატრონის პოზაში თქვა ტატემ და დაამატა,—თქვენ უნდა გადაგყვეთ თქვე ოხრისშვილებო!

— გადაგყვე, თორემ სერაპიონივით შენც ნაირ-ნაირებს ეზიდები სახლში! შენ რომ გლახაკი იყო, ჩვენ რა შუაში ვართ!..

— არაფერი დაგანახვათ ჩემმა გამჩენმა. ცხრა წყვილი ფენსაც-მელი რომელმა მიიტანა სახლში, ერთი თვის განმავლობაში!

— საწყლები, სულ შენ გამოგატანეს და თითონ ისე დარჩნენ. შენ გგონია თავმჯდომარე შენ ხარ? თავმჯდომარეები ისინი არიან და შენ კი არაფრად არ გაგდებენ, შე საცოდავო!

— ვაი ჩემ დღეს, უიღბლო კაცი რომ დაიბადება ქვეყანაზე, ისევე თოთლოს უნდა დაავლო ხელი და წყალში გადაუძახო. ამაზე მოვიკალი თავი? ამიტომ მოგიზიდეთ მთელი არტელი? სხვებსავე უნდა მოვიქცე, შეტი გზა არ არის.—დაჩაგრული კაცის ტონით თქვა ტატემ და ჩანთას ხელი წამოავლო.

— როგორ თუ სხვებსავე.—ცოტა არ იყოს შეეშინდა ცოლს.

— როგორ და რუსის გოგო უნდა შევიყვარო და ყველაფერი იქ უნდა მივზიდო.

— შე უბედურ დღეზე დაბადებულს, რა შავ ქვათ გინდა მერე ის გოგო.

— ვნახოთ თუ არ მინდა!—დაბეჯითებით თქვა ტატემ, ჩანთა ზურგზე მოიგდო და კარებისაკენ გაეშურა.

— ტატე!.. რა ამბებში ხარ...—გაჯავრდა ცოლი და დაეჭვებული „ჩანთაში რაღაცა კარგი უნდა ჰქონდესო“, ქმარს დაეტაკა.



— ხედავ, თინიკო, ამ ზამთარს რომ ჩვენ თოვლის კაცი გავაკეთეთ, სად მოუტანიათ?

— არ გინდა სიკეთე, ხომ? მაშ კარგი!—ბურღლუნებდა ტატე და გარეთ მიიწვიდა.

ცოლმა ყოველ შემთხვევისათვის ჩანთა ჩამოგლიჯა და სასწრაფოდ გახსნა.

— უი, შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი! დედა, დედა, რა საპალტოეა. ასეთი პალტო არავის ექნება მთელ ქალაქში. შენ გენაცვალე, ჩემო ქერა ბიჭო!

ცოლმა ხელები შემოხვია ქმარს. მართალია ღიბმა არ გაუშვა, რომ მთლად შემოწვდნოდა, მაგრამ ნაუცბათევედ ნიკაპზე კოცნა მაინც მოახერხა. ტატეს სიამაყის გრძნობა დაეჯახა და კმაყოფილება დედისერთა ცრემლი ჩამოუვარა ლოყაზე. ქალმა ორივე თვალი აამუშავა და მათს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა...

ტიტე კი, ამ ამბის ნამდვილი მსხვერპლი, ჩუმად იჯდა კუთხეში და ფიქრობდა:

— ნეტა როდის უნდა გავხდე დიდი. საშინელებაა პატარობა: პაპიროსს მოწვევ, არ მოწიოო, თითონ კი ექაჩებიან. კინოში წახვალ, ღამე გარეთ სიარული არ შეიძლებაო, თითონ კი მთელ ღამეს არ მოდიან. მოიპარავ რასმე და არ შეიძლებაო. თითონ კი... ნეტავი როდის უნდა გავხდე დიდი!..

მოიღლებიან, მოიქანცებიან, მისაგათდებიან ქალიშვილები. ადვილი ხომ არაა, დილიდან მოკიდებული ადამიანის ჩონჩხს უტრიალებენ. თითოეული ძვლის ლათინურ წოდებას იხეპირებენ, იმეორებენ თავიდან ბოლომდის, ბოლოდან თავამდის. დია, ადამიანის ჩონჩხი უჭირავთ ხელში, ნების ძვლებს ითვლიან, გარეთ კი გაზაფხულია, თბილისის გაზაფხული... გაფთხოვნილი ხეებს ქუჩა მოუმყუდროებიათ, ჩიტები ყვირიან, ავტოს ხმაური გაისმის ყრუდ, სადღაც მილიციონერი უსტვენს და ბავშვები სამთვალა ველოსიპედით კუთხეში მიიყუთებიან. ბაზრიდან მიმავალ დიასახლისებს გულზე იასამნის ტოტები მიუხუტებიათ და ნეტარი თვალით უმზერენ ყველაფერს... ისინი კი ჩონჩხს ატრიალებენ, ძვლებს ითვლიან, ლათინურ სახელებს იმეორებენ... დილით ერთმანეთს არ აცდიდნენ, დასამხრებისას დიდ თავზაიანობას იჩენენ, ყველა სავარძელს ეტანება და ერთიმეორეს უთმობს ჩონჩხთან ადგილს.

ალაყუთან ფეხშველა ბიჭი გამოჩნდება, ახლო-მახლო მილიციონერს რომ ვერ დაინახავს, განიერ უბნში ხელს ჩაიყოფს და მძაფრი ხმით აყვირდება:

— პაპიროსს... პარა რუბლს... რისავოი!.. პარა რუბლს!..

ღია სარკმელს ჩამოფარებული ფარდა შეირბევა.

სავარძელს მისვენებული მოღლილი ქალიშვილები შეჩქვრივდებიან, თვალი აუბზინდებთ, ჩონჩხთან მყოფი მასპინძელი კონსპექტს დაუშვებს, პირში შეაწყვდება და ვნებიანად გაიღიმებს.

უფრო ვნებით გაჰყვირებს ბიჭი ქუჩაში:

— პაპიროსო...ს, პაპიროსო...ს!.. სტარი ტემპ!.. სტარი რეკოლო...რდ!..

წითელკაბიანი ასული პიანინოს მიუჯდება და ქლერას შეუწყობს ქუჩის მოკიყინეს.

მასპინძელი უჯრებს, მამის პორთფელსა და პალტოს ჯიბეებს ჩხრეკს, თუ-თუნის ბეწვიც არსადა გდია.

ბიჭი არა სცხრება:

— პაპიროსო...ს, პაპიროსო...ს!.. დაიტაცეს... რაღა დარჩას!.. პაპიროსო...ს!..

დაფაცურდებიან ათრთოლებული ქალიშვილები, ჩანთებსა ჰხსნიან, ფულს აგროვებენ, მაგრამ ვინ გავა ქუჩაში, ვინ ვახლება მეპაპიროსე ბიჭს და ვინ იყიდის პაპიროსს?

— მე ვერა... რო დამინახოს?!—ამბობს ერთი და სწრაფად ჯდება.

— ვერც მე!.. ძლივს შევურიგდი!..—დაატანს მეორე.

— ვერც მე!.. ისედაც ეჭვიანია!..

— ვერც მე!.. ხალხი დადის, სირცხვილია!..

ერთი ფარდას ასწევს და ქუჩას გაჰხედავს:

— აი, ახლა არავინაა ქუჩაში!..

— არავინაა და შენ ჩადი!..

— კარგი რა!..

— არც კი გრცხვენია!..

— ერთი ბეწვა ხათრი არა გაქვს მეგობრებისა!..

— რატომ შენ არა გაქვს?!..

— მეე?!.. რას ამბობ!.. ცელი სკანდალ!.. პრედსტავლიაემ: მივიდე ქუჩის ბიჭთან, პაპიროსი გამოვართვა...ი ვდრუგ!.. ჰმ!.. არა, ჩემო კარგო, მე არც ისე ვეწვი!

— არც მე!..—სწრაფლ დაატანს მეორე. მეგრე ყველა თანმიყოლებით გაიმეორებს და მცირე სიმშვიდე ჩამოვარდება, სიმშვიდე, როცა ყველა დაძაბულია და ერთი მეორეზე მეტი სიმტკიცის გამოჩენას ლამობს... მასპინძელს გასტეხს მოვალეობა, კრთომით, შიშით გამოაღებს კარებს. ყველა აფიცრებული თვალით მისჩერებია... აი, აივანზე ისმის ფეხის ხმა; აი, კიბეს მიუახლოვდა, უნდა ჩავიდეს... მაგრამ თითქოს შეყოვნდა. წუთიც და ნაბიჯები უკუმობრუნდება, კვლავ კარს მიადგება. წამოხტებიან შინ დარჩენილი ქალიშვილები და კარს ეცემიან. მასპინძელი სახელაღწილი შემობრბის.

— რა მოხდა?!..

— აივანზე მეზობლის ვაჟია!..

— ფეხიც მოსტეხია!..

— ეგებ მიდის... დავიცადოთ!

სათითაოდ იხედებიან... არა, წასვლას არ აპირებს ვაჟი. ზის. მუხლებზე წიგნი უდევს. პაპიროსს ეწევა. ფერფლი წიგნის ფურცლებს დაეცემა. გულდაგულ გადასწმენდს... მეგრე კვლავ მოსწევს და ბოლში გაეხვევა.

— საძაგელი!..—სწყრებიან ქალიშვილები და ჰფიქრობენ როგორ მოაშორონ აივანს ვაჟი... და აი, შეჭირვების ქამს მოველინებთ მხსნელი: კიბეზე ბავშვები აირბენენ, თვალმოვარდნილ ველოსიპედს აათრევენ და „ძია თენგიზს“ შეკეთებას სთხოვენ... მამის სახელოსნო იარაღი სარდაფშია, ველოსიპედი იქ მიაქვს თენგიზს, ბავშვებიც თან მიჰყავს... და განარებული ქალიშვილები უფრო ათრთოლდებიან, როცა ღია სარკმელში კვლავ შეიჭრება მძაფრი კიყინა:

— პაპიროსო...ს!.. პაპიროსო...ს!.. რისავოი პაპიროსო...ს!..

...დილით მეგზოვებს ეზოს დაგვა დაავიანდება. ბავშვები პაპიროსის ნამწევებს მიაქცევენ ყურადღებას, აბა, ეს რა შესამჩნევია, მაგრამ ყოველ ნამწვის ღერს წითელი აშია მოვლებია და დაინტერესებული ბავშვები აივანზე გადამდგარ „ძია თენგიზს“ შეეკითხებიან:


— ეს რა სხვანაირი პაპიროსი გამოსულა, ძია თენგიზ?!..

დაჰხედავს „ძია თენგიზი“ და ცბიერად გაიღიმებს: ქალიშვილების ტუჩთა კვალი შერჩენია პაპიროსის ნამწევებს.

ო.თ. ჩხეიძე


## მშობლების მიხედვით

ნახ. ლონისა




— ჰხედავ, ნახევარი ტონა ასწია.  
— ეგ რა არის, ჩვენმა გამგემ სამი ტონა ასწია და სახლამდისაც კი მიიტანა.

ნახ. ა. კანდელაკისა



— მესამე კლასში დარჩი და რაღა გინარია?  
— როგორ თუ რა! დედაჩემი მამაჩემს მუღამ ეჩხუბება: საწყობის გამგე ხარ, სხვაგან არ გადახვიდე შენს ადგილზე დარჩიო, მეც ხომ მამის მიმბაძველი უნდა ვიყო.

ნახ. ღონისა



— შეიძლება ეს აფიშა თქვენს ვიტრინაში ჩამოვკიდოთ?  
— რაიმე ინსპექტორი? თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, წელა-  
ნაც მოვიდა და მისი მოსვლა ათასი მანეთი დამიჯდა.

— დედაკაცო, ადე, წყალი ჩაურიე ღვინოშია!  
— ქა, შენ თვითონ ჩაურიე—მე რათ მავალეზ?  
— ერთი ამას უყურეთ და! მე რო ჩავურიო, მაშინ როგორღა  
შევფიცო მყიდველს—ხელი გამიხმეს, თუ ამ ხელს წყალი ჩაე-  
რიოს ამ ღვინოში მეთქი“?

# ნიანგის ფოსტა

## ამბროლაური

ამბროლაურელს: როგორც თქვენი კორესპონდენციიდან უტყუარად სჩანს, თქვენს რაი-ვაჭრობის განყოფილებას ნორმაზე მეტი ჰქონია ღვინის სავაჭრო წერტები. რა უშავს: ამაში ჩვენ დასაძრახს ვერაფერს ვხედავთ, რადგან ეს იმის ნიშანია, რომ გასულ წელს თქვენს რაიონში მევენახეობა მაღალ ღონეზე მდგარა. რაც შეეხება თქვენს შენიშვნას

„აქ კულტურული ვაჭრობა დავიწყებიათ ამიერ: ღვინოს სმენ, უმალ თვრებიან და ისმის „მრავალუამიერ“-ო,

არც ეს მიგვაჩნია გასაკიცხ მოვლენად, რადგან თუ „ღვინოს სმენ და უმალ თვრებიან“—ეს იმის დამამტკიცებელია, რომ თქვენს წერტებში პატიოსანი გამყიდველები ყოფილან და ღვინოში „ნორმაზე“ ნაკლებ წყალს ურევენ, თორემ „უმალვე“ ვერ დათვრებოდნენ მსმელნი.

თქვენ ალბათ იმის თქმა გინდოდათ, რომ წერტებში დარღვეულია კულტურული ვაჭრობის წესები და ადგილი აქვს ლოთობას. თუ ეს ასეა, მაშინ ამბროლაურის პროკურორს წააკითხეთ ეს შენიშვნა.

## ზესტაფონი

ბასრ მახვილს:

ნიანგოჯან, სალამს გიძღვნი, და გიგზავნი ასეთ პატაკს: გთხოვ კბილები მოუსინჯო ზესტაფონის კინო „სპარტაკს“-ო

გვავალებთ. თქვენს გრძელ ლექსში ტექნიკის საინტერესო მიღწევა მოსჩანს: ზესტაფონში კბილებიანი კინო გქონიათ. ამის შემ-

დეგ რა საბუთით აცხადებთ გულისწყრომას „სპარტაკის“ კონტროლიორ ქალის მიმართ, რომელიც თურმე ბილეთიან მაყურებელს ისე არ შეუშვებს, თუ მოხალული მზესუმზირა და ვაშლები არ მიჰყიდა?

„...მოქალაქე ფიქრს ეძლევა: „ნუ თუ აქ და ესეც ვაჭრობს და უეცრად თვალებს დაჭყუებს კინო არი თუ სავაჭრო?“

აჩქარებულხარო დასკვნის გამოტანაში. კინო, რასაკვირველია, მზესუმზირის სავაჭრო არ არის, მაგრამ რაკი „სპარტაკს“ კბილები ჰქონია, მზესუმზირის კნატუნიც ალარ ესაყვედურება.

რაც შეეხება იმას, რომ კინოში შუქის ჩაქრობის გამო სენს გადავიდებენ და მეორე დღისთვის დაგებარებენ ბილეთიან მაყურებლებს, ხოლო მეორე დღეს ახალი ბილეთების ყიდვას გაიძულებენ, აქ მართლაც გამოსავალი უნდა მოიხიზნოს. ჩვენ გირჩევთ ასე შეუთანხმდეთ „სპარტაკის“ დირექციას: ჯერ სურათი ნახოთ, ხოლო შემდეგ ბილეთები შეიძინოთ.

## ქობულეთი

კვაჭის: ვასრულებთ თქვენს თხოვნას და ვათავსებთ თქვენი „რაიორის“ მუშათა სასა-დილოს გამგის გედევან გოგვაძის „სავირო ამბებს“, რომელსაც წესად შემოიღოთ კერძო ბაზარზე პროდუქტების „ნისიად“ შექმნა, მათი მაღალ ფასებში გაყიდვა და იმ კოლმეურ-ნეთა ცემა-ტყევა, რომელნიც:

„თუ შებედავენ, მოსთხოვონ შეპირებული „ნისია“ მათ „უსწორდება“ მუშტებით, ნავაჭრი კი მთლად მისია“.

ამასთანავე გიპასუხებთ კითხვაზე, თუ რა ეწოდება გედევან გოგვაძის საქციელს. ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, წმინდა წყლის სპეკულაცია, რისთვისაც მას პასუხი უნდა მოეთხოვოს, შემდეგ თაღლითობა და ხულიგნობა, რისთვისაც აგრეთვე პასუხი უნდა მოეთხოვოს.

## შორაპანი


ბაბილინას: გულის ამაჩუყებელი „მატარებელთმოყვარეობის“ გრძნობა გამოსჭვავის თქვენს ლექსში, რომელიც მიძღვნილია უშუალოდ სოხუმ-შორაპნის მატარებლისადმი:

„შორაპნის მატარებლო, ექსპრეს-ვაგონთა კონაო, შენმა უმწეო ბორგვამა, მგზავრები დაგვალწნაო... ფანჯრები ჩაღეწილი გვაქვს, დაჭკრის ზუზუნით შიგ ქარი, ...ვაგონში წვიმა ჩამოდის, და შიგ წყალი დგას—ვით ღვარი.“


ქვეშარიტად კაცთმოყვარე გულის პატრონი მგზავრები მსხდარხართ მაგ „ექსპრეს-ვაგონთა კონაში“, მაგ მოზუზუნე ქარსა და „ვით ღვარში“, რომ საკუთარი დასველება არაფრად ჩავიგდიათ და მხოლოდ მატარებლის ტანჯვა-ვაებას დაუყენებინართ ელვეიურ გუნებაზე.

ალბათ სამტრედიის უბნის მოძრაობის დარგის მუშაკები აღტაცებით წაიკითხავენ თქვენს სტრიქონებს და შეეცდებიან შეუმსუბუქონ „უმწეო ბორგვა“ მაგ... ვაგონებს.


ნახ. გ. თომაშვილისა




1. გასუქდა ტიტკო. კანში ველარ ეტეოლა. ექიმმა ბორჯომში წახვლა ურჩია.




2. საგზურის ძებნაში 10 კილოგრამი დაიკლო ავადმყოფმა.



3. ცოლის ჩხუბმა: „მეც მინდა ბორჯომიო“, კიდეც 8 კილოგრამი დააკარგვინა ტიტეს.



4. ბილეთის აღებამ და საოჯახო წვრილმანის გავზავნამ 6 კილოგრამი ჩამოაკლო ტიტკოს.



5. მატარებელში მიღებულმა მასაჟმა 11 კილოგრამით შეამცირა ტიტკოს საერთო წონა.



6. —კაცი ჩირს ჰგავხარ. ბორჯომი ვინ ეშმაკმა გამოვიწერა, შენ სხვა აგარაკზე დასვენება უფრო მოგიხდება.—უთხრეს ბორჯომელმა ექიმებმა და აბასთუმანში წახვლა ურჩიეს.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, შჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1946 წ. 7/VI ლ. პ. ბერაის სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. განთ. № 46. შეკ. № 694. ტირ. 7500. უფ. 02609